№ 188
შაბათი, 2 სექტემბერი 1895

1877—1895

ივერია

№ 188
შაბათი, 2 სექტემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГАЗЕТИ ДІРЯ:

თვ	მან.	კ.	თვ	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტერ-აკოფოვის პანსიონი

მეორე სარისხისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში, ზემლემერის სასწავლებელში და იუნკრის სასწავლებელში შესასვლელად. ადრესი: ტფილისის სოლოლაკი. განოვის ქუჩა № 11. (2—1).

მსურს **საპატიო ოჯახში** ვასწავლო ბავშვებს საღამოობით. სამაგიეროდ უნდა **ბინა** და **ხარჯი** მქონდეს.

ინსტიტუტის კურს შესრულებული ახალგაზდა ქალი.

ადრესი: „ივერიის“ რედაქცია.

(3—უ—1)

სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ ხსენებულს სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და ეგზამენები 27 აგვისტოს დაიწყება, სწავლა-კი —3-ს სექტემბერს.

შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის სურათები ისყიდებიან:

ყველა წიგნის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, საცა ზემოხსენებული სურათები დაიბეჭდნენ.

შოთას სურათი ღირს ერთი აბაზი, —კარდონზედ ხუთი შაური.

ი. ჭავჭავაძის სურათი ღირს ხუთი შაური, კარდონზედ—ექვსი შაური.

ვინც ქალაქ გარეთ გაიწერს არა ათზედ ნაკლებს ფას-დადადებით, დაეთმობათ ყველა სურათები ორ-ორის შაურით ნაკლებ ფასათ.

ჩემი ადრესი: ჩუღურეთი მაკა თოიძეს.

დავით ავალიშვილი, მოწაფე სათავად-აზნაურო სასწავლებლისა, სთხოვს ნათესავებს და გულის შემატკივართ დახმარება აღმოუჩინონ სწავლის გასაგრძობად, რადგანაც ფულის შეუტანლობისა გამო იგი დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდგან.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, საიფოვის სახლი, № 24.

ბ ნის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით გავხსენი

სასწავლებელი პანსიონით

მ. ა. კარამასკომ.

ყმაწვილების მიღება დაიწყება ორის სექტემბრიდგან.

(4—1805—1)

ტფილისის ქალაქის საბჭო ამით აცხადებს, რომ ვერის ხიდზედ ეტლით გამვლელთ ფულის მიღების შემდეგ ხარჯის მკრეფავის მიერ მიეცემათ ბილეთი, რომელიც უნდა შეინახონ, ვიდრე ხიდს გავიდოდნენ, სადაც დაუბრუნებენ მეორეს, ხარჯის მკრეფავს.

ახალი ამბავი

—

*** მოსკოვის საარხეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინა უვაროვისა 31 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა და ხვალ, 3 სექტემბერს, საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრება რუსეთს.

*** გუშინ, პირველს სექტემბერს-დაიწყეს ერთმანეთთან მუშაობა პროფესორის იუზის ტელეგრაფის აპპარატით ტფილისმა და ბათუმმა. ამ აპპარატზედ ასოები მზად არის ზედ მიკრული და წინ თეთრსა და შავს ძვლებზედ (კლავიშები) ამოჭრილია ასოები. ტფილისში რომ ერთ ასოს ალაგას ხელს დააჭერენ, იგივე ასო ერთს წუთს დაიბეჭდება ბათუმშიაც. ამიტომ მუშაობა ძლიერ ადვილდება. რაც რომ მორზეს ტელეგრაფის აპპარატით გარდაიცემა ერთის საათის განმავლობაში, ამას იუზას აპპარატი ნახევარს საათზედ ნაკლებ დროს მოანდომებს. იუზას აპპარატის სამუშავო ძვლები ძლიერა ჰგავს როიალის სათამაშო ძვლებს, ანუ თითებს.

*** „ჩერნ. ვესტ.“-ი სწერს: „ტფილისის გუბერნატორი თავადი შარვაშიძე გადაჰყავთ პეტერბურგს უმაღლესს თანამდებობაზედ“.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში წელს მიიღეს 80 ყმაწვილი. სასწავლებლის შენობის სივიწროვისა გამო ბევრნი არ იქმნენ მიღებულნი.

წელს კურსი გაათავა რვა ყმაწვილმა. იმათგან მხოლოდ სამი შევიდა გიმნაზიაში სწავლის განსაგრძობად, ხუთნი-კი ისე დარჩნენ. განუზრახავთ, რა წამს სასწავლებელს ახალს შენობაში გადიტანენ, მეხუთე კლასი მოუმატონ და მერე ყოველს წელს უმატონ თითო კლასი, ასე რომ შემდეგში საშუალო სასწავლებლად გარდააქციონ.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს სწერენ სოფ. სკრიდგან (ქართლი), რომ იმ მამულში, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან შეიძინა „გაჭირვებულ მოსწავლეთა დამხმარებელმა თავად-აზნაურთა საზოგადოებამ“, ამ ზაფხულს მილდიუ გასჩენია ყურძენს. ამ სენის წინააღმდეგ ენერგიული საშუალებანი უხმარიათ, რომელთა გამოც ყურძენი გამოკეთებულა; კარგი იქნება, ადგილობრივ მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციონ ამას და თავიანთს ვენახებსაც უწამლონო.

*** გურიიდან გვწერენ, ჩვენში გაბმული ავდრებია, ნამუშავარი სულ გაფუჭდა, მხოლოდ ჩალა-კი ბლომად იქმნება. სხვა მოსავალი სიმინდისა, ღომისა და ღვინისა, ღმერთმა შეინახოსო.

*** კახეთიდიდამ გაზეთ „ტფ. ლისტ.“ სწერენ, რომ აქაური მემამულენი სხვა სოფლებში ყიდულობენ ღვინოს, რადგანაც წელს ღვინის მოსავალი იმდენად მცირე იქნება კახეთში, რომ თვით მემამულეთ არ ეყოფათ საკუთარ საჭიროების დასაკმაყოფილებლადაო. ღვინის ფასი თან-და-თან მაღლა იწევს, ვედრო ღვინო, რომელიც წინად მანეთ-ნახევარი ღირდა, ეხლა ღირს ორი მან., ან თორმეტი აბაზიო.

*** ახალ-სენაკი: მთელი აგვისტო ისე გაგვეპარა, რომ ერთი ხეირიანი და მზიანი დღე არ გვინახავს. ცა მუდამ მოღუშული შავის ღრუბლებით ხშირად გვიგზავნის წვიმებს. ამის გამო ჰაერიც ცოტა არ იყოს აცივდა. ღამ-ღამობით საკმაო სიცივეები დაიჭირა. ბუნებას სხვა ფერი მიეცა. აგვისტოს თვის უზომო წვიმებმა უამისოდაც გაფუჭებულ ჭირნახულზედ ცუდი გავლენა იქონია. ამის შემაცქერალი მუშა-კაცი სასოწარკვეთილებას ეძლევა. მიუხედავად ამისა, წრევანდელი მოსავალი სიმინდისა, თუ ღომისა ჯერ-ჯერობით ვერაფერს იმედს იძლევა. რაც შეეხება შარშანდელ ზრდილობის წეს-რიგს მივხედეთ, თვალები უნდა დავუშო და მოვიგანგებო, ვითომ არა მესმის-რამეთქი,—ამას გვაკისრებს საზოგადოება ესრედ წოდებულს გასათხოვარს, კარგის ოჯახის ქალიშვილებს, მაგრამ ეხლა ამის დრო არ არის. მე ყველაფერი ვიცი.

ამალია. მერე, არა გრცხვენიან.

ლეონორა. დიაღ, ძალიანა მრცხვენიან.

მიულინგი. გესმის ვის ელაპარაკები აგრე?! ხომ არ გაგიჟებულხარ!

ლეონორა. თუ ისე ვერ გამოვსთქვი ჩემი აზრი, როგორც საკადრისი იყო, ბოდიშს ვიხდი. თქვენი წყენა და გაჯავრება სულაც არ მინდა. იქნება, მართლაც, ცუდი შვილი ვიყავი, იქნება ნება არა მაქვს, რომ ჩემი საკუთარი აზრი ვიქონიო, ვიდრე დამოუკიდებელს ცხოვრებას არ მოვიპოვებ. თუ ასეა, მომიტევეთ. ვეცდები ხასიათი გავისწორო. მაგრამ სამართლიანნი-კი იყავით, აღუდგინეთ იმ კაცს სახელი და პატიოსნება.

მიულინგი. არც-კი გკითხავ შენ იმ კაცთან რა საქმე გაქვს-მეთქი, თუმცა შემეძლო მეკითხა. მაგრამ ამიხსენი ერთი, რას ეძახი „სახელისა და პატიოსნების აღდგენას“?

ლეონორა. მოინდომეთ მაინც დანაშაულის შესწორება და საშუალება, საღსარი გამოჩნდება.

მიულინგი. აგრე გგონია? ჯერ

ფელეტონი

პატიოსნება

კომედია ოთხ მოქმედებად გ. ზუდერმანისა.

(დასასრული *)

VI

შტენგელი, ბრანდტი და კურტი.

შტენგელი. აჰა, მაინც ჩვენ დავრჩით სულელებად ჩვენს პატიოსნებასთან ერთად.

ბრანდტი. რას ამბობ?! ჩვენ სწორედ კეთილშობილურად მოვიქეცით.

შტენგელი. კარგი, ბრანდტ, მაგრამ ყავა, ყავა?!

ბრანდტი. რა გაეწყობა, პატიოსნებასაც ხომ უნდა ვაფასებდეთ, ჩემო მეგობარო. ძალიან მიხარიან, რომ ამ სამსახურის გაწევა შევიძელი, საყვარელო კურტ. უჩემოდ აბა რას გახდებოდი? მაშ ასე, საღამომდის.

კურტი. განა ქალაქში დაბრუნებას აპირებთ კიდეც?

ბრანდტი. ჰო.

კურტი. მე მიგაცილებთ.

ბრანდტი. ოჰ, არა, ეგ ხომ გაქცევას ემსგავსება.

კურტი. რა აზრები მოგდის, რა ქნა, თავში?

ბრანდტი. გრაფმა-კი ჩუმ-ჩუმად ჩაიცინოს? ეხლა მოვალეც-კი ხარ იმ ბატონს უეჭველად შეხვდე.

კურტი. ეგ-კი არა მგონია აგრე იყოს.

ბრანდტი. შენი მოვალეობაა-მეთქი, გეუბნები, თუ არ გინდა, რომ მხდალად და მშიშარად ეჩვენო ხალხს.

VII

ისინივე, მიულინგი (ქურქითა და ბეწვის ქუდით) და ვილჰელმი (უკან მოსდევს).

მიულინგი. (ქურქს ვილჰელმის მკლავებზედ ჩაძოიხსნის) რას ჩამციებია და თავს არ მანებებს?!. გამარჯობათ, ყმაწვილებო... უბრძანეთ, რომ ანგარიში და დავთრები გამოართვან და უთხრან, რომ წაეთრიოს, მომშორდეს... (ვილჰელმი გადის) კურტ, რას მემალები, ხომ იცი, რომ კიდევ ბევრი რამა გვაქვს სალაპარაკო.

კურტი. (ნელის ხმით ბრანდტსა და შტენგელს) ეხლა-კი მომხვდება! თავს უშველეთ.

შტენგელი. ბ-ნო მიულინგ, სამწუხაროდ, დრო არა გვაქვს...

მიულინგი. ნახვამდის, ბატონებო, დიდად ვწუხვარ... ნახვამდის.

ბრანდტი. (ნელის ხმით კურტს) მერე გვიამბე, შენ და ხეინეკე როგორ შეხვდებით ერთმანეთს. (ბრანდტი და შტენგელი გადიან).

VIII

კურტი და მიულინგი.

მიულინგი. ამ ხელად-კი ყველაფერი გავათავე... ერთმა ღმერთმა იცის, რაოდენი მსხვერპლი დამჭირდა... ამას სულ ანგარიშის დროს მოგაწერ. აბა, ეხლა-კი ამ ამბის ზნეობრივს მხარეს დავუბრუნდეთ.

IX

ისინივე და ამალია, შემდეგ ლეონორა (მარცხნივ შემოდის)

კურტი (თავისთვის) ოჰო, დედაჩემიც მობრძანდა, კარგი ამბავი დატრიალდება.

ამალია. ოჰ, კურტ, კურტ!

კურტი. დედაჩემო...

ამალია (დაჯდება) შენს მშობლებს დიდი მწუხარება მიაყენე, ჩემო შვილო! რა სირცხვილია, რა დამცირებაა ჩვენთვის, რომ მამაშენი იძულებულ ჰყავი იმ საძაგელს ხალხთან მოლაპარაკება ჰქონოდა. (ლეონორას, რომელიც ამ დროს შემოვა) შენ რალა გინდა აქა?

ლეონორა. მინდა მოგელაპარაკოთ.

მიულინგი. ეხლა არა გვცალიან, შენს ოთახში შედი.

ლეონორა. არა, მამაჩემო, ამისთანა საქმეში ხმას ვერ ჩავიკმენდავ. თუ წევრი ვარ ამ ოჯახისა, მეც ხმა უნდა მქონდეს.

მიულინგი. ეგ კილო-გაზვიადებული ლაპარაკი რას ჰნიშნავს?

ლეონორა. ჩვენს ოჯახში დღეს საზიზღარი ამბავი მოხდა...

მიულინგი. ნეტა არ იქნება, სულაც არ გამეგონა ეგ ამბავი!

ლეონორა. და არც უნდა დამიფაროთ ასეთი ამბავი. მართალია, თუ დაჯექ, შვილო. მე არც ამ გზობით ვულალატებ ჩემს წესს, ვეცდები მშვიდად მოგელაპარაკო და საბუთებით მოგაგონიერო, თუმცა ამისთანა შემთხვევაში უფრო გაკიცხვის ღირსი ხარ. შემოჰხედე აბა ჩემს ჭალარა თმას. ამ თავს უპატიოსნების ჩირქი ჯერ არ მოსცხებია, თუმცა პატიოსნების შესახებ სჯა და ბაასი კი არასოდეს მქონია. ახ, რამდენი რამ უნდა აიტანოს ადამიანმა ცხოვრებაში ისე, რომ კრინტის დაძვრაც ვერ გაჰბედოს, თუ უნდა თავისს სურვილს მიაღწიოს. მაგრამ აგერ ვილაც ყმაწვილი კაცი მობრძანდა, რომელსაც, შენის აზრით, პატიოსნება წაართვეს და შეუბღალეს. ვსთქვათ, შენ მართალი ხარ. მეც დიდად შემაწუხა შენის ძმის ქარაფშუტობამ. მერე ვინ ატანს ძალას ყმაწვილს კაცს, გინდა თუ არა რალაცა პატიოსნება იქონიეო? ან საიდგან შეიძინა ეგ პატიოსნება? თავისის ოჯახიდგანა და ჩემის სავაჭრო საქმეებიდგან ხომ ვერ შეიძენდა. ჩემი ნოქრები მალტიის რაინდები არ არიან. კარგი, შენა სთქვი, რომ იმას პატიოსნება ჰქონდაო და ჩვენ უნდა დავუბრუნოთო. მერე როგორ? რა გვარად? იქნება ის გინდა, რომ კურტს ის ყმაწვილი ქალი შევრთოთ?

ამალია. თუ ღმერთი გწყამს, თეოდორ, მაგისთანა სიტყვებს ხუმრობითაც-კი ნუ იტყვი.

მიულინგი. კარგი, მაგრამ ეგ ხომ

*) იხ. „ივერია“, №№ 174—182 და 187.

დელს მოსავალს, თუმცა კარგი იყო, მაგრამ გაჭირვებისა გამო ზოგიერთებმა ფუთი გაყიდეს 30—40 კაპ., ეხლა-კი, როდესაც საქმელი სიმინდი შემოელიათ, ესენივე ყიდულობენ მოვაჭრე ბერძნებისაგან ფუთს 60—70 კაპ. მაგრამ, საუბედუროდ მათთანაც ვერ შოულობენ საკმარისს სიმინდსა და ამიტომ ზოგიერთებმა მიჰყვეს ხელი „ოლევახთას“, ე. ი. (ქურდობას).

*** იქიდგანვე: ვაზსაც ხომ წელს სრულიად არ ასხია. მართალია გაზაფხულზედ ბლომად ესხა, მაგრამ ივლისის ცხელმა და აღმოსავლეთის ლონიერმა ქარმა სულ ძირს ჩამობერტყა. ასეთივე დღე დაადგა ხეხილებსაც, რომლებსაც გაზაფხულზედ კარგად ესხა...

სენაკისა და უფრო-კი ზუგდიდის მაზრის ზოგიერთს სოფლებში თავი იჩინა „მუცელამ“. ეს ავადმყოფობა უმეტეს ნაწილად ბავშვებს ემართება და თუმცა „ჯერ-ჯერობით შესამჩნევად არ მძვინვარებს და ბევრს არა ჰკლავს, მაგრამ მოსალოდნელია, თუ დროზედ არა უშველეს-რა, დიდს ზარალს მოიტანს. ამიტომ სასურველია, ვისიც ჯერ არს, ამ სენს თავისი განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს, სანამ ეს სენი გავრცელდებოდეს...

*** ს. ბასილეთის საზოგადოება, (გურია): ერთის გლეხის ქორწილში, 27 აგვისტოს, მაყრებს ჩხუბი მოუვიდათ და სასიკვდილოდ ორი კაცი დაიჭრა.

*** ბათუმი. აგერ ოთხი თვეა, რაც როტშილდის ქარხანაში მუშაობა შესწყდა. წარმოუდგენელია მუშათა გაჭირვება. რაც ერთი-ორი-

---

მეცა და ჩემს საქმესაც საშინელს უბედურებაში ჩაგვ>გდებს. ეხლა-კი იმ ყმაწვილს კაცს შეუძლიან თავი დაიღწიოს ამ ამბავს. თუ ის ამას არ იზამს, მე რომ მკითხონ, ვინ უფრო კარგია, რომ გაუბედურდეს, ჩვენ თუ ისაო?—გიპასუხებთ, ისა-მეთქი, რადგან გაუბედურება არაფრად მესიამოვნება. ასე ვმოქმედებდი მთელს ჩემს სიცოცხლეში და ყველა პატიოსან კაცად მიცნობს.

ლეონორა. (წამოდგება) მამაჩემო, ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

მიულინგი. უკანასკნელი გახლავთ. ეხლა მომიახლოვდი, მაკოცე და დედიშენის წინაშე ბოდიში მოიხადე.

ლეონორა. (შიშის ზარით უკან დაიწევს) თავი დამანებე, შენი მოტყუება არ შემიძლიან.

მიულინგი. ეგ რას ჰნიშნავს?

ლეონორა. მამაჩემო, ნათლადა ვხედავ, რომ ყველაფერში ვტყუი და შეუძლებელსა გთხოვთ. სრულიად უნდა შევიცვალო აზრი და გრძნობა, რომ შენი მსგავსი გავხდე, მაგრამ... (შესდგება და უურს დაუგდებს. კარებს იქიდგან ლაპარაკი მოისმის).

მიულინგი. განაგრძე... მაგრამ...

ლეონორა. (თავისთვის) ის არის. (ხმა-მაღლა) მაგრამ... აღარ შემიძლიან.

X

ისინივე და ვილჰელმი.

ვილჰელმი. ახალგაზდა ბ-ნი ხეინეკე ისევ აქ არის (კურტი შეშინდება).

მიულინგი. ჩემი ნათქვამი განა

ოდ გროში ებადათ შავი დღისათვის შენახული, ამ უსაქმობის დროს შეჭამეს.

*** სოფ. ნატოჩაო, (სამეგრელო): გამუდმებულმა წვიმებმა ლამის ხელი აგვაღებინოს წრეევანდელს მოსავალზედ. ერთი თვეა, რაც დღე და ღამე სულ განუწყვეტლივ წვიმს, ყოველ-გვარი ჯეჯილი ჯერ-ჯერობით ვერაფერს იმედს იძლევა. ამისი მნახველი გლეხები ამბობენ: «წრეევანდელმა წელიწადმა ნაცარში კოვზი ამოგვივლოო». მართლაც თუ ასე გაგრძელდა წვიმები, ხომ დაღუპა უამისოდაც გაფუჭებული ყანები. დღეს თითქმის ზოგიერთებს სარჩო შემოლეული აქვთ. საუბედუროდ, ვგონებთ, ვერც მომავალმა მოსავალმა გამოაძღოს ჯალაბობა.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

სოფ. ბორჩხა, (ჭოროხის ხეობა). ძნელად, რომ სხვაგან სამცხე-საათაბაგოში მოიპოვებოდეს ამ დროებით იმდენი ძველიდგან დარჩენილი ქრისტიანობის ნაშთი, რამდენიც მოიპოვება სოფ. ბორჩხას ახლო-მახლო. ამ პატარა და კოპწია სოფელში თქვენ ნახავთ ორს ციხეს, რომელნიც ჯერ კიდევ ნახევრად არ დაქცეულან; ამათი აქამდის მოწევა დაუნგრევლად იმას უნდა მივაწეროთ, რომ ციხეები იყო უბრალო ქვით ნაშენი, ამის გამო არ და უნახავთ იმათი დაქცევა საჭირო მასალად და ამისათვის დარჩენილა დღემდის თითქმის ხელ-უხლებლად და მთელად. ამას გარდა სამი ნასაყდრალიც არის, ხოლო ძნელად თუ შეატყობთ, რომ იქ საყდარი ყოფილა. ამათი დაქცევის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ესენი ყოფილან ძვირფასის ჩუქურთმიანის ქვებით ნაშენი და როდესაც ეს სოფელი ძალით გაუმაჰმადიანებიათ, მოსპობილა ქრისტიანობა და მუსულმანობა გასჯდომიათ ძველ-რბილში, მერე მიუყვიათ ხელი საყდრების ქცევა-ნგრევისათვის და ამ ჩუქურთმიან თლილი ქვებით უშენებიათ ახალს მაჰმადიანებს ბუხრები და ეზოებისათვის გალავნები. აქაურის მაჰმადიანების სახლში რომ შეხვიდეთ, ბევრს ალაგას შეხვდებით საყდრის ქვებით ნაშენ ბუხრებს და ზოგიერთ ალაგას ქართულ წარწერასაც წაიკითხავთ. გარდა ამისა, აქ თითქმის ყოველს ფეხის ნაბიჯზედ შეგხვდებათ იმისთანა ჭურები, რომელნიც არიან მიწაში ჩაკირული, რომ ორ კაცს თავისუფლად შეუძლია ჩავიდეს და ერთმანერთს არ დაუშალონ, ისე ამორეცხონ. იმ დროს აქაურობაში მშვენიერი ბაღები ყოფილა, იმას ისაც გვიმტკიცებს, რომ დღემდის დარჩენილან მაშინდელი ვაზების ძირები, რომელნიც კარგა მოზრდილის ხის სიმსხონი არიან. ამ მხარეში თუ სადმე ხელუხლებლად დარჩენილან საყდრები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაჰმადიანთ საყდრების დანგრევა ცოდვად მიაჩნდათ ხალხში კიდევ დარჩენილიყო შიში ეკკლესიისა.

ბორჩხიდგან ორის საათის სავალზე სოფ. პეტრულში არის ერთი პატარა ეკკლესია, სადაც დღემდის დარჩენილა ხელ-უხლებელი, როგორც ქვა აგრეთვე წმიდანების ნახატებიც. თუმცა კაცებს ბევრჯელ მოუნდომებიათ ამ ეკკლესიის დანგრევა და იმისი ქვების მოხმარება, მაგრამ ქალებს არ მიუციათ ამისი ნება, რადგან ქალებს იმისთანა სიზმარი უნახავთ, რომ კაცები ხელ-ახლად ეკკლესიისათვის უსათუოდ რამე ხიფათს შეხვდებოდნენ იმის დანგრევის გამო. ამისთანა ქალების სიზმრებს უნდა მიეწეროს დღეს, რომ ვხედავთ ამ პატარა ეკკლესიაში მშვენივრად შენახულს წმიდანების ნახატების ზედწარწერებით, რომელიც ნახვისათანავე ოც-და-ათის წლის წინად გაკეთებული ხელოვნება გეგონებათ. ამ ეკკლესიასთან ახლო მოსახლეა ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ამას წინად სიზმარი უნახავს და უთქვამს, აქ უნდა მოვიდეს ერთი დევრიში (ბერი) და იმისმა ლოცვამ ბევრი სასწაული უნდა გვიჩვენოსო, მაგრამ იმას ის არ ამბობს, თუ რაში იქნება და როგორ ეს სასწაული. სანამ ახმედ ეფენდი ხალვაში იყო აქაურობის უფროსად, ეს ეკკლესია სუფთად ჰქონია შენახული, რადგან ყოველის მხრით შემოევლებინებინა ღობე, რომლის გამოც საქონელს არ შეეძლო შესვლა საყდარში. რა-კი ის გარდაიცვალა, მერე ღობეც დანგრეულა და დარჩენილა უპატრონოდ და ყურ-უგდებლად ამისთანა ძვირფასი ნაშთი ქრისტიანობისა. როგორც მითხრეს, ახმედ-ეფენდის ერთი იქაური კაცი ჰყოლია იმ საყდრისთვის მიჩენილი, რომელსაც დავალებული ჰქონია იმის სუფთად შენახვა და ამის გამო ის თურმე ჯამაგირსაც აძლევდა ამ სამსახურისთვის.

დღემდის თუ მოულწევია ტბეთის მონასტერს და ქვეყანას აკვირვებს მისი მაშინდელი ხელოვანება, ამის შესახებ აი რას მოგითხრობს იქაური ასის წლის მოხუცი სულეიმანი ომერ-ოღლი. როდესაც ამათში მოისპო ქრისტიანობა, რამდენიმე ათის წლის შემდეგ, ამათის გამაჰმადიანებისა, მოისურვეს თურმე ეს მონასტერი გადაეკეთებინათ მეჩითად და კიდევაც დაასიეს ოსტატები მინარეთის მისაშენებლად მონასტერზედ. მინარეთი

იქნება... კურტ, შენც იანგარიშე.

რობერტი. 58.113 მანეთი.

მიულინგი. (ანგარიშობს) 5—8—1—1—3... მართალია, 58.113 მან. და ათი შაური. კურტ, რატომ არ ანგარიშობ?

კურტი. და ათი შაური. სწორედ ეგრეა.

მიულინგი. ჰმ... ყავას ძალიან მცირე მოგება ჰქონია? ეს რას ჰნიშნავს?

რობერტი. (ერთს თაბახს ქაღალდს გადასტეხს) აი ცალკე ანგარიში ყავისა. ადრევე შევატყე, რომ ყავის საქმე ცუდად წავიდოდა, რადგან ბრაზილია გვიდგა ჯიბრში, და ამიტომ მამულის ხუთი მეექვსედი ჩაის დავუთმე.

მიულინგი. თქვენა?

რობერტი. დიახ, მე.

კურტი. საკვირველია.

მიულინგი. ქინაქინამ როგორ იწარმოვა?

რობერტი. აი ანგარიში. (ახალს თაბახს ქაღალდს გადასტეხს).

მიულინგი. აქედგან მაგდენი არა დარჩენილა-რა. მაშ ეს მოგება საიდგან დარჩა?

რობერტი. უფრო იმან გვასარგებლა, რომ საცდელად თამბაქო დავთესეთ სუმატრიდგან გამოწერილის თესლისა. (ახალს თაბახს ქაღალდს გადასტეხს) განსაკუთრებით-კი ჩაი იყო სასარგებლო.

მიულინგი. ჩემმა ძმისწულმა მოგიწონათ აგრე მოქმედება.

რობერტი. ბოლოს, რასაკვირველ-

არ გარდაეცით?

ვილჰელმი. როგორ არა, მაგრამ კანტორიდგან მაინც ჯკან დამედევნა.

მიულინგი. საკვირველი თავხედობაა! თუ ამ წუთას არ...

კურტი. უკაცრავად-კი, მამაჩემო, და იქნება მადლობის გარდახდა უნდა? მე მგონია, რომ საკმარისი მიზეზიცა აქვს მადლობის გარდასახდელად.

მიულინგი. მაგ ხალხმა მადლობის გარდახდა არ იცის.

კურტი. ეგეც არ იყოს, ანგარიში ხომ უნდა ჩაგვაბაროს.

მიულინგი. რასაკვირველია.

კურტი. ბოლოს ანგარიშში რომ დაგვაკლდეს რამე, წადი და ეძებე.

მიულინგი. შენი ნებაა, შემოვიდეს (კიდჭელმი გადის).

ამალია. წავიდეთ, ლეონორა.

ლეონორა. (სწრაფად, ნელის ხმით) კურტ.

კურტი. რა გინდა?

ლეონორა. გაფრთხილდი.

კურტი. (სტდიდობს შეკრთომა დაიმალოს) ეჰ, სისულელეა! (ამალია და ლეონორა გადიან).

მიულინგი. დაჯექ, აგრე უკეთესია.

XI

ისინივე და რობერტი.

(პირველის შესვლით დამშვიდებულია, თავ-დაჭერილი და მორიდებულია; იღლიაში ქაღალდები უჭირავს).

მიულინგი. ცოტა არ იყოს, თავ-მომაბეზრებელი ხართ, ჩემო კარგო, მაგრამ სამსახურის გულ-მოდგინეობას ბრალად არასოდეს ჩავუთვლი ადამიანს, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელია და სამსახურს თავს ანებებთ. დაჯექით.

რობერტი. თუ ნებას მომცემთ, ფეხზედ დგომას ვარჩევ.

მიულინგი. როგორც გინდათ. ჩემის ძმისწულის ამბავი გუშინ შევიტყე. კარგად სცხოვრობს თურმე, მხიარულობს, მართალია, ცოტა აჭარბებს, ვიდრე საჭიროაო, როგორც გრაფ ტრასტმა მითხრა, მაგრამ არა უშავს-რა, კარგის ოჯახის შვილს შეჰფერის ასე მოქცევა. იმედი მაქვს, ანგარიშს მოიტანდით.

რობერტი. აქ გახლავთ.

მიულინგი. და?

რობერტი. (სქელს ქაღალდის ალბაში მოსძებნის ანგარიშს და გადაწოდებს მიულინგს, რომელიც სტოლის იქით მსარეს არის) აი.

კურტი. (დაუდეგნელად) შეიძლება ვნახო, მამა?

მიულინგი. რაღა თქმა უნდა. ან იქნება პირიცა გაქვთ ამ ანგარიშისა.

რობერტი. რასაკვირველია.

მიულინგი. ჩემს შვილს გარდაეცით, თუ ღმერთი გრწამთ. (კურტი მეგებება, ორივენი შედგებიან ერთმანეთის წინ და თვალით გაჭზომავენ) როგორც პირველის გადათვალიერებითა სჩანს, საქმე მგონი კარგად წარმართულა. წმინდა მოგება დარჩენილა...

რობერტი. (თავისს ქაღალდებს ჩასტქერის) 116.227 გულდენი.

მიულინგი. ჰოლანდიის გულდენი რომ ათ შაურად ვიანგარიშოთ,

ლია.

მიულინგი. მართალს ამბობ, საყვარელო კურტ, სწორედ რომ საკვირველია.

რობერტი. გნებავთ კიდევ მკითხოთ რამე?

მიულინგი. როგორც თქვენს ლაპარაკიდგანა სჩანს, ჩემი საავაჭრო საქმე თავას კუნძულზედ თქვენ გიწარმოებიათ მარტოს. რად მოხდა ასე?

რობერტ. იმიტომ-რომ სრული რწმუნების ქაღალდი მქონდა თქვენგან.

მიულინგი. მერე მაგ დროს ჩემი ძმისწული სად იყო?

რობერტი. მაგისას ვერას მოგახსენებთ.

მიულინგი. განა ჩემი ძმისწული ყოველ დღე არ დადიოდა კანტორაში?

რობერტი. არა.

მიულინგი. (თანდათან ღელდება) მაშ როდის იყო ხოლმე?

რობერტი. როდესაც ფოსტა მოდიოდა ჰამბურგიდგან და როცა ფული მიჰქონდა.

კურტი. მაგითი რა გინდათ სთქვათ? ვითომ ჩემი ბიძაშვილი საქმეს თვალ-ყურს არ ადევნებდა?

რობერტი. მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რაცა ვთქვი.

მიულინგი. ამიხსენით მაინც...

რობერტი. უფლება არა მაქვს, რომ ჩემის უფროსების კერძო ცხოვრებას შევეხო.

კურტი. იმის უფლება-კი გაქვთ, რომ ლაქა მოაცხოთ?

და ბევრი სავაჭრო საქონელიც ჩამოეტანათ, მაგრამ ყველა მათგანი უფულობასა სჩიოდა. თავიანთს საქონელს ძვირად ჰყიდნენ და აქაურების ნაწარმოებს-კი ჩალის ფასად ყიდულობდნენ, მაგალ: აბრეშუმს. ზოგიერთს ჩვენს ქალებს ისეთი კარგი ჯიშის აბრეშუმის თესლი შეეძინა წელს, რომ მისგან გაკეთებული აბრეშუმის ძაფი ოქრო-მკედსა ჰგავდა. ამგვარს ძაფს უცხო, ჩამოსული ურიები (ებრაელები) კიტრის ფასად ყიდულობდნენ. სამწუხაროდ, არც ერთი ქართველი კაცი არ გვინახავს აბრეშუმის მყიდველი. ნეტავ, რად? ნუ-თუ სირცხვილად მიაჩნიათ? მაშინ, როდესაც მატყლი და სხვა რამ მოაქვთ გასასყიდი, განა აბრეშუმის ყიდვა სირცხვილია? სასურველია, მომავალისათვის ვინმე პატიოსანი ვაჭარი ჩამოვიდეს აქ, იყიდოს აბრეშუმი, თითონაც მოიგოს და გამყიდველსაც ცოტაოდენი მოაგებინოს. ამით მყიდველიც და გამყიდველიც ორივე მოგებაში იქნებიან, რადგანაც შემდეგში უფრო-და-უფრო გაძლიერდება სამეგრელოში აბრეშუმის მოვლა-მოშენება.

არა მგონია ჩვენის საქართველოს რომელსამე ადგილში ისე ბლომად მოდიოდეს და ისე გულ-მოდგინედ ეკიდებოდნენ აბრეშუმის მოშენებას, როგორც სამეგრელოში, მაგრამ ჩვენში არ გამოჩნდა ისეთი კაცი, რომელმაც ეს საქმე ითავოს, ან თვითონ იყიდოს და ან შეადგინოს ამხანაგობა და მით დაიხსნას ხალხი გაიძვერა ჩარჩების კლანჭებიდგან. მაგრამ, რას ვამბობ! განა ჩვენ ოდესმე ველირსებით იმგვარს კაცს, როგორიც ბრძანდება ბ-ნი დ. მაჩხანელი. რომლის თავოსნობამ საწყალ ხალხის ზურგზე მონავარდე ჩარჩებს ფრთები შეაკეცა?.. თუ რამდენად წინ წამწევია სოფლისა კეთილ განზრახვით დაარსებული ამხანაგობა, ეს უკვე ყველასათვის ცხადია. მხოლოდ საჭიროა თავოსნობა და სიყვარული საქმისა...

წელს აქ ძალიან იაფად გაიყიდა საგანგებოდ გაკეთებული აბრეშუმის დარაიები, არშინი 30—40 კაპ; საჩოხე ფერად-ფერადი შალები 2—3 მან. მეგრელების ნაწარმოები, რაღაც მიზეზებისა გამო, ძალიან იაფად გაიყიდა. უცხო ჩამოსული ვაჭრები წრევანდელის იარმუკობის მადლიერნი დარჩნენ.

ტრიფონ კალანდარაშვილი.

30 აგვისტოს, 1895 წსლს. ახალ-სენაკი.

ᲓᲐᲜᲓᲐᲚᲝᲡ ᲒᲐᲗᲐᲗᲐᲠᲔᲑᲐ.

(ქართველ მაჰმადიანთ ავალიანთ გვარში დარჩენილი სოფ. დანდალოში)

გლეხნი დასახლებულან, ცხოვრებისთვის მიუყვიათ ხელი და როცა კარგა მაგრა დამკვიდრებულან და ფეხი გაუმაგრებიათ სოფელში, მერე თევდორე ავალიანს გამოუცხადებია, რომ სულთანის ბრძანება არის, რომ ჩვენ ყველანი უნდა გავთათრდეთო. ხალხს არ უქნია. დიდი მწუხარება ჩამოვარდნილა მოხუცებულებში, ტირილი, ვაება, ზოგს საქართველოში გამოქცევა დაუპირებია, მაგრამ ეს ველარ მოუხერხებიათ და ბოლოს ასეთი პირობა დაუდვიათ: ჩვენ მოხუცებულნი ჩვენს სჯულზე დავრჩეთ, დავიხოცებით და დღეის შემდეგ რაც შვილები მოგვეცემიან, ისინი სულ თათრულის წესით იქმნენ მიღებულნი. ავალიანი დასთანხმებია. ეს სულთანისათვის უცნობებია, სულთანს ამისთვის დანდალოს ბეგიობა მიუცია. იმ დროიდგან ზემოხსენებულს ხალხში ვინც დაბადებულა, ყველა გაუთათრებიათ და თვით მოხუცებულნი-კი ძველის სჯულით დარჩენილან, მაგრამ ამათთვის მოუსპიათ მღვდელი, დანდალოს დიდი ეკკლესიაც დაუქცევიათ. ხალხი დიდს მწუხარებაში ყოფილა ამის გამო ჩავარდნილი, მაგრამ კიდევ მადლობელნი იყვნენ მასზე, რომ ჩვენ მოხუცებულნი მაინც დაგვტოვეს ჩვენს სჯულზეო. რამდენიმე ხნის განმავლობაში მოხუცებულნი მთლად მოსპობილან და ახალგაზდები ვინც ყოფილან, ყველანი მაჰმადიანები და მასთანვე მოყვარენი მაჰმადიანებისა გამხდარან.

ავალიანები დღეს თევდორ-ოღლებათ იწოდებიან. სცხოვრობენ ძლიერ ღარიბათ, ზოგნი ამათგანი ოსმალში არიან გადასახლებულნი.

ასეთი საშუალებანი რომ არ ეხმარათ დანდალოს ხალხის გასათათრებლად, მაშინ ოსმალნი ამათ წინააღმდეგ ვერას გააწყობდნენ, რადგანაც ეს ხალხი აქ ცხოვრებით და მუშაობით საკმარისად დამდიდრდნენ და ყოველ ოსმალის მოხელეს ფულით ათამაშებდნენ, როგორც უნდოდათ. ამათში ქალი, კაცი და პატარა ყოველთვის თავ-განწირულად მუშაობდნენ ყანაში, ვენახში და არაფერს ერიდებოდნენ, ახალ გათათრებულთ ქალები-კი საქმეს ახლოსაც არ მიეკარებოდნენ, რადგანაც ხოჯების სიტყვით მათ ქალის მუშაობა მიუტევებელ ცოდვათ მიაჩნდათ.

(სოფ. მერისელის ფარან-ოღლი ერისთავის ნაამბობი).

ძალით გათათრებული ქრისტიანები თურმე ჩუმად დიდხანს ქრისტიანობნენ და ესენი საიდუმლოდ ღორის ხორცსაც სჭამდნენ. იგინი გარეულ ღორებს ხოცავდნენ თურმე ტყეში, ატყავებდნენ, იქ სჭრიდნენ ხორცს და მერე შინ მოჰქონდათ. ქვედა მარადიდში ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა. ხოჯას დაუჭერია ხალხი ღორის ხორცის ჭამაზედ; ამაზედ დიდი დავიდარაბა ამტყდარა. ხალხი სამართალში მიუციათ და ბოლოს აღმოჩენილა, რომ ესენი ჩუმად ქრისტიანები ყოფილან. მათ თავიანთი მღვდელიც ჰყოლიათ. მღვდელი ერის კაცის ტანთ-საცმლით ყოფილა; ამათ ღორის ხორციც უჭამნიათ, ღვინოც უწურავთ ხოლმე და მით ზიარებულან კიდევაცა. ამ ამბების შეტყობის შემდეგ მთელი ეს ხალხი მიურეკიათ ჭოროხის ნაპირზედ, ამათში ქალებიც ყოფილან ბევრნი, უკან ხმალ ამოღებული ოსმალები დასდგომიან და მოლებს დაუყვირნიათ:

— სთქვით, რომ დღეიდამ თათრები ხართ, ქრისტიანობაზე ხელს იღებთ და ღორის ხორცს აღარ სჭამთო.

— არ შეგვიძლიანო, დაუყვირნიათ ერთად ყველას. ოსმალებს მიუგიათ.

— რაკი არ შეგიძლიანთ, მაშ შედით მაგ ჭოროხში და ვინც შიგ გაცურდება, გალმა გავა, ის დარჩება ქრისტიანათ, ვინც არ შევა, იმას ხმალი დახვდება უკან. ამაზე ბევრნი შეშინებულან და განუცხადებიათ, რომ დღეიდამ ნამდვილი თათრები ვიქნებით და ყველაფერს ბრძანებას შევასრულებთო. ვინც წინაალმდეგნი ყოფილან, ისინი სულ შესულან ჭოროხში; ჭოროხი ამ დროს დიდი ყოფილა და ყველა ეს საბრალოები შიგ დამრჩვალან და ერთიც არ გასულა გალმა; ამ დროს ქვედა მარადიდი 50 კომლი იყო და ყველა ესენი ჭოროხში ისე დაიღუპნენ ქრისტიანობის გულისთვის, რომ სოფელში 5 კომლი-ღა დარჩაო და აი ამ მიზეზით მოისპნენ ამ სოფლის მცხოვრებნიო. შემდეგ თურმე დასცინოდნენ მათი შთამომავალნი, რომ ჩვენმა ძველებმა ღორის ხორცის ჭამის გულისთვის თავები ჭოროხში დაირჩესო. ამ შემთხვევის შემდეგ-კი მარადიდელნი მთლად გაუთათრებიათ და მათი სოფლის ეკკლესიების აშენებაც დაუწყიათო.

ხ. ჯ.

(შემდეგი იქნება)

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

—

„ნოვოსტი-“ს სიტყვით, რკინის გზების წარმომადგენელთა კრება, რომელიც მოხდება ამ შემოდგომაზედ, განიხილავს წინადადებას, რომლითაც გარდაწყვეტილია დასწორონ ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა, ნოტებისა და სხვა ბეჭდვის ნაწარმოების გადაზიდვის ფასი.

—

ორის წლის წინად იმპერიის ყველა სათავად-აზნაურო კრება შეუდგა ახალის პროექტის შემუშავებას. პროექტს საგნად აქვს შეადგინოს საერთო სათავად-აზნაურო თანხა, რომლიდგანაც უნდა ეძლიოს პენსია ყველას, ვინც თავად-აზნაურობის დაწესებულებაში მსახურებს. ამ ჟამად, „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, წესდება უკვე მზად არის, სადაც ჯერ არს, წარსადგენად.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდაუწყვეტია გააძლიეროს და განაკარგოს საქველ-მოქმედო საზოგადოებათა მოღვაწეობის კონტროლი, რომელიც მიენდობა გუბერნატორთა კანცელარიებს.

—

საპატიმროთა უმაღლესს გამგეობას განუზრახავს დააარსოს ყველგან იმპერიაში სულით-ავადმყოფ ტუსაღთათვის ცალკე საავადმყოფონი.

—

„პრიაზოვ. კრაი-“ს სიტყვით, დონის როსტოვის ერთს ბანკში მსა-

რობერტი. (უნდა ეცეს, მაგრამ თავს შეიმაგრებს) მკითხავთ კიდევ რასმე?

მიულინგი. თან ნაღდი ფული რამდენი გაქვთ?

რობერტი. 95.000 გულდენი. აი ბანკის ბარათები.

მიულინგი. კურტ, გადაათვალიერე. (ორივენი კედელ ერიმანთს წინ დაუდგებიან, კურტი ბარათებს გამოართმევს და სინჯავს დაუწყებს).

რობერტი. მოვრჩიუ მგონი?

მიულინგი. ცოტაც მოითმინეთ. (სიჩუმეა).

კურტი. სწორედ არის.

მიულინგი. მაშ აგრე, ჩემო საყვარელო ბ-ნო ხეინეკე... გისურვებთ, რომ ცხოვრებაში წარმატება და ბედნიერება არ დაგაკლდეთ. ეცადეთ რიგიანი ადამიანი იყოთ და ჩემს სიკეთეს ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ.

რობერტი. არა, არ დავივიწყებ. აი, ის ათას-ორასი თუმანი, რომელიც მამიჩემისათვის გარდაგეცათ.

მიულინგი. ეგ ათას ორასი თუმანი სესხად-კი არ მიმიცია, საჩუქარი იყო.

რობერტი. მაინც მე ჩემს მოვალეობადა ვთვლი დაგიბრუნოთ.

მიულინგი. მამათქვენმა მოგანდოთ ამ ფულის დაბრუნება?

რობერტი. არა, იმას არ მოუნდვია.

მიულინგი. მაშასადამე ეს ფული თქვენი ყოფილა.

რობერტი. ჩემი გახლავთ.

მიულინგი. მესმის, მესმის.

კურტი. არ გიკვირს, მამა, რომ ჩვენს ბ-ნს ხეინეკეს ამდენი ფული დაუზოგია და შეუნახავს?!

რობერტი. (ერთს სანს შეფიქრდება, ამ სიტყვების მნიშვნელობას მისდგება, შეჭეიგდებს, დამბაჩით მიკარდება კურტს და კისერში სწვდება) საზიზღარო! ბოდიში მოითხოვე მაგ სიტყვისათვის.

მიულინგი. გვიშველეთ, გვიშველეთ!

XII

ისინივე და ლეონორა, შემდეგ ამალია.

ლეონორა. (შემოირბენს) რობერტ, შეიბრალეთ!

(რობერტი შეჭხედავს, დამბაჩა ხელიდგან გაკარდება, უკან დაიწევს და სასუზედ ხელებს მიიფარებს).

ამალია. (შუა კარებიდგან შემოდის) რა მოხდა? კურტ, გვიშველეთ! გვკლავენ, გვიშველეთ! ზარს ჩამოჰკრა, თეოდორ!

მიულინგი. კარგია, ნუ ჰყვირით, საშიში აღარა არის-რა. რაღა გნებავთ? ბიბრძანდით.

რობერტი. როგორც ქურდი განა! (ლეონორა შეიძვრება) დიახ, ლეონორა: ფული გამომიზოგია, ქურდი ვყოფილვარ.

ლეონორა. მამავ, მამავ, ეგ რა ჩაგიდენიათ?!

რობერტი. ძალიან კარგი. დღეს ანგარიშის დღეა და გავასწოროთ ანგარიში.. ანგარიშიამ სასახლესა და ქოხ-ეზოს მახებს შორის. მე თქვენთვის მოგებას კბილითა და ფრჩხილებით ვეწეოდი და ჯამაგირის შესახებ-კი კრინტიც არ დამიძრავს. ისე გიყურებდით, როგორც წმიდანებს. თქვენ იყავით ჩემი სჯული, ჩემი სარწმუნოება? მერე თქვენ რითი გადამიხადეთ? მომპარეთ ჩემის ოჯახის პატიოსნება, პატიოსანი იყო იგი, თუმცა ქოხ-მახებში სცხოვრობდა. მომპარეთ ჩემიანების სიყვარული. თუმცა ისინი უსუფთაონი და ღარიბნი არიან, მაგრამ მიყვარს-კი. მომპარეთ ის ბალიში, რომელზედაც დავისვენებდი ხოლმე, როდესაც თქვენს საქმესა და სამსახურს ვრჩებოდი... მომპარეთ სამშობლო. მომპარეთ სიყვარული ხალხისა და იმედი ღვთისა. თქვენ მომპარეთ მოსვენება, ნამუსი და წმიდა სინიდისი. თქვენ მომპარეთ მზე, რომელიც ჩემს ცას ანათებდა. ქურდები თქვენა ხართ, თქვენა!

მიულინგი. (მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ) რა გინდათ ეხლა, მოსამსახურეები დავუძახო და ისე გაგაგდებინოთ?

ლეონორა. (ამათ შუა ჩადგება) ეგ არასოდეს მოხდება, მამავ.

მიულინგი. რაო? შენა?

ლეონორა. ეს აქედგან თავისუფლად გავა და ვერავინ შეურაცხყოფს. თუ არა და, ამისი გამგდები მეც გამაგდებს.

რობერტი. ლეონორა, რა გინდათ ჰქმნათ?!

ლეონორა. მამავ, ნუ თუ ერთი სიტყვით არ შეგიძლიან ბოდიში მოითხოვო ამ კაცის წინაშე?.. ერთადერთის სიტყვით?

მიულინგი. ჭკუიდგან ხომ არ შეიშალე?

რობერტი. დაანებეთ თავი, ლეონორა. მადლობით მოგიხსენიებთ ყოველთვის, ვიდრე ცოცხალ ვარ. თქვენ იყავით ჩემი ცის ყოველივე ის, რასაც სამშობლოს ეძახიან, და თქვენის დატოვებით სამშობლოსა ვპოვებ. გაკურთხოთ უფალმა. მშვიდობით. (კარებისაკენ მიდის).

ლეონორა. (წიგნიდით გამოუკიდება და ხელს მოსჭიდებს) ნუ წახვალ, ნუ, და თუ მიდიხარ, მეც თან წამიყვანე.

რობერტი. ლეონორა!

მიულინგი. ეს რას ნიშ...?

ლეონორა. მარტოს ნუ დამტოვებ. მცივა ამ ხალხთან. ჩემი სამშობლოც შენა ხარ და ყოველთვის იყავი კიდეც. აი, ხომ ჰხედავ, გეხვევი და თავს ვერ დამანებებ.

მიულინგი. ახ, რა თავის მოჭრაა!

ლეონორა. ნუ შევიძულებთ ერთმანეთს, მამავ. მე დავაჯილდოვებ იმის სამაგიეროდ, რაც თქვენ წაართვით. (რობერტს) მართლა, მე, ჩემის თავის მეტი, არა მაქვს-რა და თუ გინდივარ...

რობერტი. ლეონორა!

XIII

ისინივე და ტრასტი.

ტრასტი. რა ამბავი მოხდა აქა?

ლეონორა. (სიფრიფანით მიეგებება) გმადლობთ, მეგობარო, თქვენ მიჩვენეთ ნამდვილი გზა. რობერტ, წავიდეთ, ახალი სამშობლო შევიქმნათ, ახალი მოვალეობანი.

რობერტი. (თვალს გადაჭერავს კურტს, რომელსაც მკვდრის ფერი დასდებია და მხურვალედ იტუკის) და ახალი სახელი და პატიოსნებაც. (გადაეხვევიან ერთმანეთს).

ამალია. აი როგორ გადაგვიხადა მადლობა, თეოდორ.

ლეონორა. მამავ, დედაჩემო, ბოდიშს არ მოგთხოვთ, რადგანაც ასე უნდა მოვიქცე, როგორც ვიქცევი. ვგრძნობ, რომ ეს უსამართლოდ მოქცევა არ არის. თქვენ-კი მხოლოდ ამასა გთხოვთ, რომ უბოროტოდ მომიგონოთ ხოლმე და არ დამწყევლოთ.

მიულინგი. მაშ აგრეა? მერე გგონია ისე დასტოვებ ამ ოჯახს, რომ არ გითხრა, ვინცა ხარ... შენ... (ხელებს აღმართავს დასაწყევლად).

ტრასტი. (მიუახლოვდება) დაანებეთ მაგეებს თავი. წყევლითა და ქოქვით ტყუილად თავს რად იწუხებთ? (ხელის ხმით) ესეც არ იყოს, ჩვენ შორის რომ ვსთქვათ, თქვენმა ქალმა ცუდი საქმრო არ იშოვა. ეს ყმაწვილი კაცი ჩემი ამხანაგი იქნება და რადგან ნათესავი არავინა მყავს, ჩემის ქონების მემკვიდრეც ეგ არის.

მიულინგი. გრაფ... რატომ ადრევე არ მით...

ტრასტი. (სწრაფად გაიწევს უკან და მიულინგს ჩუმებით შორს დაიყენებს(თქვენს თანხმობას წერილით მოველი. (გაჭეშეებს რობერტსა და ლეონორას, რომელნიც გადიან).

ფარდა.

ა. ახნაზაროვი

დასასრული

ხურს—ვავილოვს—მოუგონია ახალი წესი ბუხგალტერიისა. ვავილოვმა თექვსმეტი წელიწადი მოანდომა ამ წესის შემუშავებას. ახალი წესი ძლიერ აადვილებს თურმე ბუხგალტერიას, ამცირებს წიგნების რიცხვს, ამცირებს დროს და აადვილებს რევიზიას.

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლიდგან სწერენ გაზეთს „მშაკ“-ს, რომ 19 აგვისტოს, სულთანის ტახტზედ ასვლის დღის დღესასწაულს, სულთანმა ინახულა ქრისტიანთა პატრიარქები—ბერძენთა და ბულგარელთა — რომლებმაც მიულოცეს მას დღესასწაული. სომხების პატრიარქი არ მიულიათ. სულთანმა ბერძენთა პატრიარქს უთხრა, რომ ძლიერ კმაყოფილია ქვეშევრდომ ბერძნებისა, რადგანაც ესენი არა გვანან ბოროტ სომხებს, „რომელნიც გასრესის ღირსნი არიანო“.

საფრანგეთი. ლონდონის ლორდ-მერის მოგზაურობას საფრანგეთში ინგლისის გაზეთები დიდს მნიშვნელობას აძლევენ. გაზეთების აზრით, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უთუოდ ესტუმრება ლონდონს. ეს მოგზაურობა, ამბობს „დაილი გრაფიკ“-ი, ორ ერთა შორის მეგობრულს განწყობილებას ჩამოაგდებსო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ბოლო დროს გაზეთებმა აღძრეს ბაასი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტებში აღნიშნული იყოს სამუდამოდ რიცხვი სტუდენტებისა, რომელზედ მეტის მიღება აღკრძალული უნდა იქმნას. ხმა გავრცელდა, ვითომც მთავრობაც ფიქრობდეს ამ წესის შემოღებას. „ნოვ. ვრ.“ შეეხება ერთს ამგვარს პროექტს და ამბობს:

„ხარკოვიდგან მოგვივიდა პროექტი, რომლითაც გაზეთი „იუჟ. კრ.“ ქადაგებს უნივერსიტეტებში სტუდენტების რიცხვის განსაზღვრის საჭიროებას. ოდესის უნივერსიტეტში სტუდენტების რიცხვი თითქმის არ აღემატება პროფესორების რიცხვსაო, მაშინ როდესაც პეტერბურგისა და მოსკოვის აუდიტორიები ველარ იტევენ ურიცხვ მოსწავლეთ. ცოტაა სტუდენტები ყაზანში, ხოლო კიევში მეტად ბევრიაო და სხვა. ამიტომ პროექტი საჭიროდ სთვლის, რომ ყოველ უნივერსიტეტისათვის დანიშნული იყოს სტუდენტების კომპლექტი, რათა გათანასწორდეს მოსწავლეთა რიცხვი სხვა-და-სხვა უნივერსიტეტებშიო“.

„ნოვ. ვრ.“ სამართლიანად ამბობს, რომ ამგვარი წესი ახალს გარდასახადს აწერს სწავლა-განათლებას.

„სად შეუძლია ღარიბ ყმაწვილ კაცს, მაგალითად ორენბურგის გუბერნიიდგან, მაინცა და მაინც ოდესაში წავიდეს, რადგანაც იქაურს უნივერსიტეტს დანიშნულ რიცხვამდე უკლია, ყაზანისაში-კი, სადაც მას უფრო მოეხერხება, დანიშნული რიცხვი სტუდენტებისა უკვე მიღებულია?!“

„ნოვ. ვრ.“ ბოლოს ამბობს, რომ საკვირველი არის, როგორის აჩქარებით და წინ დაუხედველობით ადგენენ ხოლმე რუსეთში ასეთს მავნებელს პროექტებსაო.

წვრილი ამბები

საშიშია თუ არა ტელეფონის ქსელი. ბეგრს აბონენტს ეშინია იმისი, შეუძლიან თუ არა ელვას ტელეფონის მავთულს შეჭუეეს სახლში, სადაც ტელეფონია გაუკანილი? „ეურნალ დე დება“-ში დაბეჭდილს სამეცნიერო წერილში ანრი დე-პარეილი ამტკიცებს, რომ ტელეფონის მავთული პირ იქით იფარავს ელვისაგანაო. გერმანიის ტელეფონების დირექტორმა გაარჩია, რამდენად სარწმუნოა მოსაზრება ანრი დე-პარეილისა და აი, რა დასკვნა გამოიყვანეს. ტელეფონის ქსელი, რომელიც სხვა-და-სხვა მიმართულებით არის გაბმული ჭაერში, უთუოდ ასუსტებს ატმოსფერის ელექტრონის ძალას და, მაშასადამე, ამცირებს მისს ძალას და შეუძლებელს ჭეფოს ელვის დაცემას, ანუ როგორც ჩვენში ეძახიან მეხის ჩამოვარდნას. როგორც სჩანს გამოცდილებით, იმ ქალაქებში, სადაც ტელეფონის ქსელია გაკეკანილი, უფრო იშვიათია ელვის, ანუ მეხის ჩამოვარდნა, ვიდრე იმ ქალაქებში, სადაც ტელეფონი არ არის გაკეკანილი. როგორც გამოცდილება ამტკიცებს 340 ქალაქზედ, სადაც ტელეფონი მუშაობს, შედარებით სხვა 540 ქალაქთან, სადაც აგი არ არის სმარებაში, ბრალტენტი მეხის, ანუ ელვის დაცემისა ისეთივეა, როგორც მათემატიკური ‘ფორმულა 1: 4, 6, ე. ი. ოთხჯერ ნაკლებია შემთხვევა მეხის ჩამოვარდნისა. საჭიროა მხოლოდ ელვა-ქუხილის დროს ელექტრონის მუშაობა ტელეფონის ქსელზედ შეაუნონ და ამ შემთხვევაში შიში ალბრაფერისა არ უნდა ჭქონდეთ არც ტელეფონის სადგურზედ მეტელეფონეთ და არც მათ აბონენტებს.

—

ოფიციალურ ცნობებიდგან საუურადღებო ამბავს იუწყებიან იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებულია სიღარიბე ქვეყნიერობაზედ უმდიდრეს ქალაქ ლონდონში. ამ მიმდინარე წლის აბრილს, როგორც იუწყებიან, ლონდონში 98,354 გლახა ეოფილა, რომელთაგანაც 61,770 კაცი ღარიბთა თავშესაფარში იმეოფებოდა და 35,584 კაცი კერძო სახლებში ცხოვრობდა და ფულათ იღებდნენ შემწეობას; გარდა ამისა 1,063 კაცი ქუჩა-ქუჩა დაძრწოდა და ღარიბთა დამხმარებელი საზოგადოება მხოლოდ დროებითს შემწეობას აძლევდა.

—

სტატისტიკურ ცნობებიდგან სჩანს, რომ 1894 წელს სულ 16 თეატრი დამწვარა: 4 ამერიკის შეერთებულს შტატებში, 3 ინგლისში, 3 რუსეთში, 2 იტალიაში და თითო-თითო ავსტრიაში, ბელგიაში, ბრაზილიაში და ესპანიაში.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოწყალეო ხელმწიფეკ,
ბატონო რედაქტორო!

კომიტეტი უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო, მის მაგივრ, დიდად პატივცემულთ თავადს ალექსანდრე (ასიკო) ბიძინას ძეს ერისთავს, რომელმაც სამაგალითო და შესანიშნავი თანაგრძნობა აღმოუჩინა ახალს დაწუებულს სამეურნეო განყოფილებას, სამკითხველოს და მომავალ დედათა სკოლასაც დაჭმირდა ეოველ წლივ ოც-ოც მანეთის ძღვენს და ფოტოგრაფს ალექსანდრე იოსების ძეს როინაშვილს, რომელმაც შემოსწირა ცხინვალის ახალს შენობაში გადატანილს სამკითხველოს სხვა-და-სხვა ძვირფასი ქართული წიგნები, ღირებული უმეტეს 50 მან. და გადაიღო ფოტოგრაფული სურათი ახლად აგებულის როტონდისა და თვით სამეურნეო ბაღისა კურთხევის დროს.

თავმჯდომარე კომიტეტისა
ე. გუგუშვილი.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. ხოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. ბროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½, საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. ბ. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½, საათმდის.

ა. ბ. ბურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების (დაწერის) ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალო ინსტიტუტი მედიციისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი ბრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა,
ბ. მ. მირიმანიანისა,

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—23)

ნომრები „პარიეი“

გოლოვინის პროსპექტი და კუთხე ჭავჭავაძის ქ. შესახვევისა კადეტთა კორპუსის პირდაპირ.

ფასები ნომრებისა დღე-ღამით: 50 კაპ. 3 მანეთამდე,—თვიურად 10 მან. 40 მანეთამდე.

სადგომი ხელ-ახლად შეკეთებული და მოწყობილია, ძალიან ხერხიანად გაწყობილი დროის მოთხოვნილების შესაფერად, აქვს ელექტრონის ზარები და სხვანი.

საჭმელები და საუზმეულობა მსურველთ შეუძლიანთ კერძოდ მოითხოვონ: თხოვნა მუდამ ასრულებული იქნება.

პატრონი დიმიტრი ხუნდაძე.

(8—1782—4)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

(წელი მეთოთხმეტე).

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1895—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონმა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუსკალტერია მარტივი, ორიც და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ნოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა 6) საკანცელარიო და საოფისუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრულნი და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავთიანქის ბირდაბირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—1596—21).

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	4
ქილილა და დამანა . .	3	„
მარიამი, მოთხრობა ყმაწვილებისათვის, შმიდტისა	»	10
ლექსები და წერილები ნ. ბარათაშვილისა . . .	„	60
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	12	50
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	»
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . .	„	70
ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი	1	50
წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა.	„	40
სამი ისტორიული ქრონიკა მისივე.	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . .	3	„
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა	3	30
სამცხე მისივე	„	25
ქართლი მისივე . . .	„	25
მეფე დავით ალმაშენებელი ნ. ურბნელისა . . .	„	40
მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე.	„	20
ძეგლის დება (მეფე-გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და ალბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	»	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
II вып. . .	1	25
III вып. . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . .	„	50
Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . .	»	60
Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . .	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова.	3	„
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе.	2	50
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	50

Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Августа 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.